

შპს „თი ემ“

ფინანსური ინფორმაცია

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-23
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6-13
3. განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები	14-16
4. ამონაგები	17
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17
6. სხვა შემოსავალი	18
7. საპროცენტო ხარჯი	18
8. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	18
9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	19
10. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	19
11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	20
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
13. მარაგები	21
14. მიღებული ავანსები	22
15. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	22
16. სხვა ვალდებულებები	22
17. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	23
18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები	23
19. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	23
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	23

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31-Dec-18	1-Jan-18
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	737,830	139,251
გადახდილი ავანსები		22,706	23,061
სავაჭრო მოთხოვნები		679,317	208,341
სხვა მარაგები	13	618,684	202,712
სხვა მიმდინარე აქტივები		2,440	20
სხვა არამატერიალური აქტივი	11	1,719	2,022
ძირითადი საშუალებები	11	612,308	418,766
სულ აქტივები		2,675,003	994,174
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		171,182	-
სავაჭრო ვალდებულებები		874,755	14,953
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		590,724	6,681
საგადასახადო ვალდებულებები		90,419	61,508
გამოუბრუნებელი შემოსავალი	14	567,797	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	17	758,203	474,156
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	15	-	500,000
სხვა ვალდებულები	16	60,544	30,789
სულ ვალდებულებები		3,113,624	1,088,087
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		17,312	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(455,933)	(93,913)
სულ საკუთარი კაპიტალი		(438,621)	(93,913)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,675,003	994,174

გენერალური დირექტორი



ბეიზა ჩუბუა
მთავარი ბუღალტერი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2018 წლისთვის

ლარი	შენიშვნა	2018
ნეტო ამონაგები	4	7,248,241
საქონლის გაყიდვიდან		6,180
მომსახურების გაწევიდან		9,449
ხაშუქებული ხელშეკრულებიდან		7,232,612
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(7,080,181)
საწყისი მარაგები		202,712
მარაგების შესყიდვა		(7,496,153)
გადაქმნების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		618,684
საერთო მოგება		168,059
სხვა შემოსავალი	6	145,500
დასაქმებულთა ანაზღაურება		(226,650)
საპროცენტო ხარჯი	7	(138,689)
ოჯარის ხარჯი	8	(62,501)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(113,589)
სულ საოპერაციო ხარჯები		(395,929)
საოპერაციო მოგება		(227,870)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	10	(134,149)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან		(362,019)
მოგების გადასახადი		-
მოგება/(ზარალი)		(362,019)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		-
გადაფასების რეზერვი		-
სხვა		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		(362,019)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		(93,913)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში კაპიტალის გაზრდა...)		17312
განაწილება მესაკუთრეებს (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(362,019)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		(438,621)

კლემენტ გვარდიანი
დირექტორი



ხვიჩა ჩუხუა
მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობა 2018 წლისთვის

ლარი	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,039,518
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(190,565)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(250,201)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	598,752
სავალუტო კურსის ეფექტი	(171)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	139,251
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	727,830

ალექსანდრე გვარდიანი
დირექტორი




ხეიზა ჩუხუა
მთავარი ბუღალტერი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თი ემ“ დაფუძნდა 2013 წლის 28 მარტს, საიდენტიფიკაციო კოდი: 404984086. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზ.40. თავდაპირველად კომპანია ქართულ ბაზარზე შპს „ტრანსპორტის“ სახელით იყო წარმოდგენილი.

კომპანიის შესაკუთრებები არიან:

- 1) 48001001594, ბესო ჟვანია -65%
- 2) 01006013600, თეონა ოთიაშვილი-35%

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი - ჯემალ გვარლიანი.

კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს საცხოვრებელი ბინებისა და სხვა სპეციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა. მისი ამჟამინდელი საქმიანობის ძირითადი ადგილია ქუთაისის ტერიტორია. კომპანია ძირითადად მუშაობს სახელმწიფო ტენდერებზე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

კომპანია იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2019 წლის 15 მაისს გამოქვეყნებულ სარეკომენდაციო მითითებას და შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღად ირჩევს 2018 წლის 1 იანვარს. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით აოსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკუროსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

მოგების გადასახადი აღიარდება საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება-ზარალში, როდესაც მოხდება მიღებული მოგების განაწილება.

სხვა დასაბუგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს სალდირებულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასაორიკხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

მანქანა დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალება	10 წელი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხიწება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.




ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრობდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება სოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.



*საარტიკლო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით. კომპანიის მარაგებს შეადგენს საწვავი, სარემონტო მასალები.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.



Handwritten signature.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულების საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ

ვალუტაში გამოსასული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკუთრივ სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი მომდევნო თვის 25 რიცხვში.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოთხადებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.



3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით.

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

კომპანიის მიერ 2018 წელს მიღებული მნიშვნელოვანი ზარალი გამოწვეულია, მოგებული ტენდერის საფუძველზე, შპს „თი ემ“-ის მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გასაწევი მომსახურების დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროთან, 2017 წელს გაფორმებული აქვს 4 წლიანი ხელშეკრულება ქ.ქუთაისში, შერვაშიძის ქ.53 საცხოვრებელი კომპლექსის სამუშაოები). ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების გაწევა დაიწყო 2017 წლის 15 აგვისტოდან, რის შემდეგაც პროექტის შესასრულებლად საჭირო ძირითად მასალაზე ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კომპანიის ხელმძღვანელობამ მიმართა დამკვეთს ხელშეკრულების ფასის ცვლილებაზე და სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლისა და დამკვეთთან გაფორმებული ხელშეკრულების 13.4 პუნქტის საფუძველზე, მიაჩნია რომ მოხდება მისი გადახედვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრისათვის, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 17312 ლარს.

ჩვეულებრივ მესაკუთრეები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდები, როგორც ეს დრო და დრო განისაზღვრება. კომპანიის შეხვედრებზე ხმის განკარგვის უფლებას (საკონტროლო პაკეტს) ფლობს 48001001594, ბესო ჟვანია.



ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების აღდგენად უნარობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადევნატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორცილებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.



ბ) სასამართლო დავები და სარჩელები


ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში „კომპანიის“ მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები.

2015 წლის 26 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შპს „თი ემ“-ს შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №15/159. ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულება შეადგენდა 5 390 226,09 ლარს, რომლის ოდენობაც 2016 წლის 06 დეკემბრის შეთანხმებით ხმების საფუძველზე განისაზღვრა 5 651 414,79 ლარით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პროცესში, შპს „თი ემ“-ის მიერ განხორციელდა ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი რიგი დამატებითი სამუშაო, რომლის ღირებულებამ შეადგინა 189 162,36 ლარი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების, დამატებით შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებას თავდაცვის სამინისტრო დღემდე თავს არიდებს, რაზედაც შპს „თი ემ“-მა მიმართა სასამართლოს. ამჟამად საქმე მეორე ინსტანციაშია და ველოდებით მის განხილვას. კომპანიის ადვოკატისა და ხელმძღვანელობის შეფასებით, ველოდებით, რომ გადაწყვეტილება იქნება დადებითი.

შპს „თი ემ“-ს სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2018 წლის 14 სექტემბრის N25469 ბრძანებითა და 2018 წლის 14 სექტემბრის N006-470 საგადასახადო მოთხოვნით დაერიცხა საგადასახადო დავალიანება 151 271,47 ლარის ოდენობით, რაც შემოსახლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრების შემდეგ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შემცირდა. ამჟამად, დავა მიმდინარეობს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურში 71 419 ლარზე.

ზემოთ აღნიშნული დავის გამო, შპს „თი ემ“-ს უძრავ-მოძრავ ქონებას დადებული აქვს გირავნობა/იპოთეკა.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ შპს „თი ემ“-ის სარჩელები დაკმაყოფილდება, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი დავების შედეგად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის ანარიცხი, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი არ არის ზარალის წარმოქმნა.



Handwritten signature in blue ink.

საადრეო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

4. ამონაგები

კომპანია საქმიანობს სამშენებლო სექტორში და მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება შესრულებული სამუშაოს ღირებულებებისგან. 2018 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 7 393 741 ლარი, რომელიც მოიცავს წლის ბოლოს შესრულებული სამუშაოს შესრულების სტადიის შესაბამისად გამოთვლილ ამონაგებსაც.

ლარი

31-12-18

შემოსავალი სამშენებლო სამუშაოს შესრულებიდან	7 101 090
შემოსავალი იჯარიდან და სატრანსპორტო მომსახურებიდან	9 449
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	6 180
შემოსავალი სამშენებლო სამუშაოდან, შესრულების სტადიის შესაბამისად	131 522
სულ ამონაგები	7 248 241

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი

31-12-18

პირდაპირი ხელფასი	1 602 686
საწვავის ხარჯი	212 905
დამხმარე მასალების ხარჯი	96 323
სხვა საოპერაციო ხარჯი	90
პირდაპირი მასალის ხარჯი	4 941 407
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	29 205
ცვეთა და ამორტიზაცია	197 565
სულ თვითღირებულება	7 080 181



შპს „თი ემ“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს ძირითადი საშუალების გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსულობას
145 500 ლარის ოდენობით.

7. საპროცენტო ხარჯი

ლარი

31-12-18

ბანკის სესხისა და გარანტიის პროცენტი	86 672
ფინანსური იჯარის პროცენტი	26 650
სხვა კერძო პირებისგან აღებული მოკლევადიანი სესხის პროცენტი	25 367
სულ საპროცენტო ხარჯი	138 689

8. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელს კომპანიის იჯარის ხარჯი 62 501 ლარი, მოიცავს:

1. კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი 275,56 კვ.მ და 9 კვ.მ ფართი
საიდულო საქმისწარმოებისთვის. საოფისე იჯარის საშუალო ვადა 10 წელია, ამავე ვადაში
ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდით.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს ხარჯად აღიარებულია ჩვეულებრივი იჯარით
გათვალისწინებული ყოველთვიური საიჯარო გადასახდელები 52 849 ლარი. წლის ბოლოს
კომპანიას გააჩნია ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულების დაუფარავი ნაშთი 3 450 ლარი, რომლის
დაფარვაც მოხდა 2019 წლის იანვარში.

2. ასევე ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ავტომანქანები. 2018 წლის 31 დეკემბერს
დასრულებულ წელს ავტომანქანების იჯარის ხარჯი შეადგენდა 9 652 ლარს.



შპს „თი ემ“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

9. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები
ლარი

31-12-18

ბანკის მომსახურების ხარჯი	22917
აუდიტორული მომსახურება	36000
იურიდიული მომსახურება	12000
საკანცელარიო ხარჯი	2294
ავტომობილების და ქონების დაზღვევა	313
კომუნალური გადასახადები (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი, დასუფთავება)	6282
მივლინების ხარჯი	4025
კომუნიკაციის ხარჯი	6907
სხვა საგადასახადო ხარჯი	3513
კომპიუტერის ხარჯი	2525
სხვა საერთო ხარჯი	12385
ტესტირების და დიაგნოსტიკის ხარჯი	1442
ჯარიმები, სამართალდარღვევის ხარჯები	806
მოგების გადასახადი	2180

სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

113 589

10. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

ლარი

31-12-18

რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვითღირებულება	134 588
კურსთაშორის შემოსავალი და არასაოპერაციო მოგება	38 845
კურსთაშორის ხარჯი და არასაოპერაციო ზარალი	38 406
სულ სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი	134 149



[Handwritten signature]

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

11. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივი	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონება	სულ
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	250 027	2 022	155 863	12 344	534	420 788
მიღებულია 2018 წლის სააღრიცხვო პერიოდში	174 732	-	346 065	4593	-	525 390
დაარიცხული ცვეთა	101 138	303	90287	5756	80	197 564
გასულია	127 358	-	7230	-	-	134 588
ნარჩენი ღირებულება	196 263	1719	404 411	11 181	454	614 027
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	196 263	1719	404 411	11 181	454	614 027

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების
ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

- ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი

ძირითადი საშუალებების შეძენის ციფრი მოიცავს 347 764 ლარის ღირებულების ფინანსური
იჯარით მიღებულ აქტივებს.



[Handwritten signature]

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ლარი	31-12-18	01-01-18
ფულადი სახსრები ლარში	702 425	139 221
ფულადი სახსრები დოლარში	0	15
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	702 425	139 236
ნაღდი ფული ლარში	35 405	15
სულ ნაღდი ფული	737 830	139 251

კომპანიის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ძირითადი ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში, თიბისი ბანკში და ქართუ ბანკში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. „კომპანია“ არ მოეღის რომელიმე კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას.

2018 წლის ბოლოს საბანკო ანგარიშზე არსებული თანხა ლარში მოიცავს ბანკის მიერ ბლოკირებულ თანხას. კომპანიას კონტრაქტორი ორგანიზაციისგან მიღებული ავანსის თანხების უზრუნველსაყოფად საბანკო ანგარიშზე გარანტიის სახით ბლოკირებული აქვს ფულადი სახსრები 670 000 ლარის ოდენობით.

13. მარაგები

ლარი	31-12-18	01-01-18
ნედლეული და მასალები	510 386	177 160
დაუმთავრებელი წარმოება	93 176	14 104
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	15 122	11 448
სულ მარაგები	618 684	202 712

მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა.



შპს „თი ემ“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

14. მიღებული ავანსები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას ერიცხება ავანსად მიღებული თანხები 567 797 ლარი, რომელიც ბალანსის „გამომუშავებელი შემოსავლის“ მუხლში არის წარმოდგენილი.

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს სამშნებლო სამუშაოების დამკვეთისგან მიღებულ ავანსებს.

15. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებებში 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია 500 000 ლარი სასესხო ვალდებულება, რომელიც წარმოადგენს სს ქართუ ბანკის 13%-იანი სესხს ლარში. ამ სესხის დაფარვის ვადა იყო 2019 წელი, მაგრამ კომპანიამ წინსწრებით დაფარა 2018 წლის ოქტომბერში და შესაბამისად 2018 წლის ბოლოს ამ სესხზე დავალიანება აღარ აქვს.

16. სხვა ვალდებულებები

ლარი	31-12-18	01-01-18
გადასახდელი პროცენტები	50 826	30 489
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	9 718	300
სულ მარაგები	60 544	30 789



შპს „თი ემ“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

17. მიმდინარე სასესხო
ვალდებულებები

ლარი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31-12-18	01-01-18
სს „თი ბი სი ბანკი“ სხვა კერძო პირებისგან აღებული მოკლევადიანი სესხები	ლარი	10.50%	2019	750 000	0
	ლარი		2019	8 203	474 156
სულ სესხები და ნასესხები თანხები				758 203	474 156

18. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შეადგენდა 56 313 ლარს.

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 27 სექტემბერს.

